განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური
საზოგადოებრივი ჯანდაცვა
ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
სსიპ- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი 17 სექტემბერი 2020

დასკვნის წარდგენის თარიღი 16 ნოემბერი 2020

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საზოგადოებრივი ჯანდაცვა
უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0919 ჯანდაცვა - არაკლასიფიცირებული
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	60 ECTS /სასწავლო კომპონენტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ ლობჯანიძე - საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირინა ფხაკაძე - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნათია ნოღაიდელი - შპს „ჯეო ჰოსპიტალსი“, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ელენე ხურციძე –უნივერსიტეტი „ ნიუ ვიჟენი“ ს დოქტორანტი საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2011 წელს შეიქმნა ჯანდაცვის პოლიტიკისა და მენეჯმენტის ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ორი 1. საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორისა და 2. ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის კვალიფიკაციების მინიჭებას.

2019-2020 სასწავლო წლის განმავლობაში დაწესებულებამ ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებისა და საერთაშორისო კოლაბორაციის გაღრმავების მიზნით დაიწყო მუშაობა ინგლისურენოვანი პროგრამის შემუშავებაზე, აღნიშნულ პროცესში გამოყენებულ იქნა ზემოთხსენებული პროგრამის განხორციელების პროცესში დაგროვილი გამოცდილება და შეიქმნა ინგლისურენოვანი საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო პროგრამა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა ინგლისურ ენაზე პროგრამის განახორციელებაზე თანხმობის მისაღებად თხოვნით მიმართა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, რომელმაც 2020 წლის 30 აპრილის N355264 კორესპონდენციის პასუხად აცნობა, რომ წინააღმდეგი არაა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა ინგლისურ ენაზე განახორციელოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა და ეთხოვა საგანმანათლებლო პროგრამის მოქმედ რეგულაციებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მიემართა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრისთვის.

ფაქტობრივად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ინგლისურენოვანი საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო პროგრამა ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა როგორც ახალი პროგრამა. სწავლების ხანგრძლივობა 3-5 აკადემიური წელი, სასწავლო კომპონენტი 60 ECTS

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მიზნისთვის თვითშეფასების პროცესის ფარგლებში მოხდა პროგრამული აკრედიტაციის ახალი სტანდარტების ანალიზი და შეფასებულ იქნა არსებული მდგომარეობა მოთხოვნებთან შესაბამისობის ხარისხის იდენტიფიცირების მიზნით, შეიქმნა თვითშეფასების პროცესის სამუშაო ჯგუფი, რომელმაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინირებით განახორციელა რაოდენობრივი მონაცემების შეგროვება და ანალიზი, აკრედიტაციის განახლებული სტანდარტების შესაბამისად მოამზადა თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტი/

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

  სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის MES 1 20 0000678517, 10/08/2020 ბრძანების საფუძველზე მიმდინარე წლის 17 სექტემბერს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით: თამარ ლობჯანიძე (თავმჯდომარე); ირინე ფხაკაძე (წევრი); ნათია ნოღაიდელი (წევრი), ელენე ხურციძე (წევრი) განახორციელა ონლაინ ვიზიტი თბილისში სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საზოგადოებრივი ჯანდაცვის

  სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით.
  ვიზიტი მიმდინარეობდა დაწესებულებასთან დისტანციურ რეჟიმში წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, მოისმინა დაწესებულების ხედვა აღნიშნული პროგრამის განხორციელებასთან და სამომავლო პერსპექტივებთან დაკავშირებით, შეხვდა და გაესაუბრა პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს და სამსახურის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელს, ასევე გაიმართა შეხვედრები პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან, PhD სტუდენტთა სამეცნიერო ხელმძღვანელებთან. მოხდა სადოქტორო ნაშრომების განხილვა, ჯგუფმა ონლაინ დაათვალიერა პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

  ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს ძირითადი მიგნებები.
  ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, საქმიან და კოლეგიალურ ატმოსფეროში

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

აღნიშნული პროგრამა საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევების ფართო არეალის საშუალებას იძლევა, რაც განპირობებულია ამ მიმართულებით აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდით, უნივერსიტეტის კვლევითი ბაზების არსებობის, კვლევების მიმართულებით გამოყოფილი ფინანსური სახსრებისა და შესაბამისი პარტნიორი საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების არსებობით.

პროგრამის სწავლის შედეგების რუკა და პროგრამის სტრუქტურა, შესაბამისი სასწავლო კომპონენტები (ასახულია სილაბუსებში/კონცეფციებში), სწავლების მეთოდები, პროგრამის

ფოკუსირება კვლევით კომპეტენციებზე, ზოგადად იძლევა საშუალებას სწავლის შედეგებისა და სამიზნე ნიშნულების მიღწევისათვის. თუმცა არსებობს რიგი რეკომენდაციები, რომელთა შესრულება ხელს შეუწყობს სტანდარტებთან სრულ შესაბამისობას.

შეჯამებულად სტანდარტების მიხედვით:

სტანდარტი 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის - სრული შესაბამისობა

სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილი შესაბამისობა

სტანდარტი 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - სრული შესაბამისობა

სტანდარტი 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილი შესაბამისობა

სტანდარტი 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები -სრული შესაბამისობა

- **რეკომენდაციები**

1. დაზუსტდეს სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობა და კრიტერიუმები, შესაბამისი ცოდნისა და უნარების აპლიკანტების შერჩევის უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისად "მიღების პროცედურებისა და შეფასების სისტემის" დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრული წინაპირობები გახდეს გაზომვადი და გამჭვირვალე. /სტანდარტი 2.1/
2. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, სოციალური მეცნიერებების, ეკონომიკისა და მენეჯმენტის დარგში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირებისთვის პროგრამაზე დაშვების ერთ-ერთ წინაპირობად განისაზღვროს ეპიდემიოლოგია-ბიოსტატისტიკის მიმართულებით ცოდნის დადასტურება. /სტანდარტი 2.2/
3. პროგრამის კურიკულუმს ძირითადი საგნის სახით დაემატოს პედაგოგიკის სტრატეგიებისა და ტექნოლოგიების, სწავლების მეთოდების შინაარსის მქონე კურსი /სტანდარტი 2.2/
4. უახლესი სამეცნიერო დარგობრივი ლიტერატურის სახით შესაბამისი სამეცნიერო ჟურნალების/სტატიების ჩართვა საგნებში: ბიოსტატისტიკა, ეპიდემიოლოგია /სტანდარტი 2.3 /
5. საგნებში შეფასების კრიტერიუმების მიხედვით მოხდეს ქულების მეტად დაზუსტება, რათა ცხადი იყოს კონკრეტული ქულის მინიჭების პირობა /სტანდარტი 2.3 /;

6. საგნის „ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და ადვოკატირება“ მინიჭებული კრედიტის გაზრდა სასწავლო თემატიკების სიმრავლისა და სიღრმიდან გამომდინარე /სტანდარტი 2.3/
7. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფუნდამენტურ მიმართულებებში /გარემოს ჯანმრთელობა, ეპიდემიოლოგია და სხვა/ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადამიანური რესურსის გაძლიერება, დამატება /სტანდარტი 4 .1 /
8. პროგრამული ბიუჯეტის მომზადება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება პროგრამული კონკრეტული ხარჯები, კვლევითი კომპონენტის დაფინანსების წყაროები, იდენტიფიცირებული იქნება რისკები და მათი გადაჭრის გზები /სტანდარტი 4 .4 /

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო პროგრამის შრომის ბაზრის და დასაქმების კვლევის“ ფარგლებში დამსაქმებელთა ფართო სპექტრის (მ.შ., სურსათის უვნებლობის სამსახურები, გარემოს ჯანმრთელობის მიმართულებით დაკავებული სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციები, საზოგადოებრივი ჯანდაცვის გადამდები დაავადებების დეპარტამენტები, სამედიცინო დაწესებულებების ადმინისტრაციული და ხარისხის სამსახურები) ჩართვა, მეტი უკუკავშირი დამსაქმებლებთან / სტანდარტი 1.2/
2. ჩანაწერი „მედიცინის სფეროს მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი“ - საჭიროებს დაზუსტებას, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების 69/ნ 2019 წლის ბრძანების შესაბამისად /სტანდარტი 2.1/
3. პერიოდულად განახლებული სამეცნიერო ლიტერატურის შეტანა სილაბუსებში/სტანდარტი 2.3/
4. პროგრამით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში, დოქტორანტის ფინანსური ვალდებულებების დაზუსტება /სტანდარტი 2.4/
5. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სექტორის კვლევით დაკავებულ საქართველოს სხვა ალტერნატიულ სკოლებთან ერთობლივი პროექტების შემუშავება /სტანდარტი 2.4/
6. სადისერტაციო შრომათა ვებ გვერდზე განთავსების, უნივერსიტეტის და ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩაბარების სავალდებულო წესის შემუშავება /სტანდარტი 2.4/
7. ელექტრონულ ვერსიებთან ერთად დაწესებულებაში არსებობდეს სილაბუსებში მითითებული ყველა სახელმძღვანელოს ერთი მატერიალური ეგზემპლარი/სტანდარტი 4.3/
8. სასურველია თვითშეფასების განხორციელების პროცესში სტუდენტების მეტი ჩართულობა / სტანდარტი 5.1/
9. პროგრამის ინტერესებისათვის სასურველი იქნებოდა ღრმა ანალიზის მომცველი პროგრამის გარე შეფასება. / სტანდარტი 5.2/

10. პროგრამის ინტერესებისათვის სასურველი იქნებოდა გარე შეფასებაში დამსაქმებლების მჭიდრო უკუკავშირი / სტანდარტი 5.3/

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, ამავდროულად, რეალურად მიღწევადია. პროგრამის მიზანი ასახავს რა თუ რა ცოდნის, უნარების და კომპეტენციის კურსდამთავრებულების მომზადებისკენ არის ის მიმართული, ზრდის ამ პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობას; პროგრამის მიზანი იძლევა წარმოდგენას დარგისა და საზოგადოების განვითარებაში პროგრამის ადგილისა და მნიშვნელობის შესახებ; პროგრამის მიზნები შეესაბამება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სტრატეგიას და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას; პროგრამას თან ახლავს „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო პროგრამის შრომის ბაზრის და დასაქმების კვლევა“. თუმცა სამიზნე ჯგუფები და ზომა სასურველია იყოს მეტი. პროგრამა ხელს უწყობს ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებას, რაც, ასევე, შესაბამისობაშია უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიასთან. აღნიშნულს ამყარებს სადოქტორო პროგრამის განვითარებაში უცხოელი ექსპერტების ჩართულობა, რომლებიც უზრუნველყოფენ: პროგრამაში ჩართული დოქტორანტების ხელმძღვანელობას/თანახელმძღვანელობას, ერთობლივი კვლევითი პროექტების განვითარებას, კვლევითი უნარების განვითარებას სხვადასხვა აქტივობებით, დოქტორანტების ხელშეწყობას სამეცნიერო ნაშრომების მომზადებასა და გამოქვეყნებაში საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალებისთვის, სადოქტორო კურიკულუმის

განვითარებას საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, გარე რეფერირებას, ქართველი მეცნიერების და დოქტორანტების ჩართვას მსოფლიო სამეცნიერო ქსელში. პროგრამის მიზნების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის ვებ-გვერდით და არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა „არგუსი“-თ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის განაცხადი www.iliauni.edu.ge; 2. სადოქტორო პროგრამა; 3. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო პროგრამის შრომის ბაზრის და დასაქმების კვლევა; 4. პროგრამის სამუშაო ჯგუფის ოქმები; 5. სადოქტორო საფეხურის პროგრამების კვლევის ანგარიში; 6. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის 2019-2024 წლების სტრატეგია - www.iliauni.edu.ge; 7. პროგრამის გარე შეფასება; 8. ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ➢ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დოქტორანტურის საფეხურის აღმწერს;

პროგრამის სწავლის შედეგები თანხვედრაშია პროგრამის მიზნებთან და უზრუნველყოფს დოქტორანტს იმ ცოდნითა და კვლევითი/აკადემიური უნარებით, რომელიც საჭიროა პროგრამის მიზნის მისაღწევად;

სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური;

სწავლის შედეგები შეესაბამება შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნებს. სწავლის შედეგებში ასახულია დამსაქმებელთა მოთხოვნები - აქცენტი ადვოკატირებაზე. „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო პროგრამის შრომის ბაზრის და დასაქმების კვლევის“ ფარგლებში გამოკითხული დამსაქმებლების რაოდენობა და სპექტრი არ იძლევა საშუალებას, შეფასდეს ბაზრის მოთხოვნებთან პროგრამის შესაბამისობა. კერძოდ, დამსაქმებლებიდან კვლევაში მონაწილეობა მიღებული აქვს მხოლოდ სამ რესპოდენტს (რაც, თავისთავად, რაოდენობრივად საკმარისი არ არის) - დკსჯეც არაგადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელს, „საერთაშორისო ფონდ კურაციოს“ კვლევითი განყოფილების ხელმძღვანელს, სამედიცინო დაწესებულების ერთ-ერთ კლინიკურ ხელმძღვანელს, მაშინ როცა საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო პროგრამა ორიენტირებულია ისეთ მნიშვნელოვან სფეროებზე როგორიცაა სურსათის უვნებლობა, გარემოს ჯანმრთელობა, გადამდები დაავადებების ეპიდემიოლოგია, ჯანდაცვის (პჯდ, ჰოსპიტალური სექტორი) ადმინისტრირება და სხვა.

კურიკულუმის სავალდებულო კურსები/კომპონენტები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას;

პროგრამის სწავლის შედეგების დაინტერესებული მხარეებისთვის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის ვებ-გვერდითა და არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის ელექტრონული სისტემა „არგუსი“-თ;

უზრუნველყოფილია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის პერიოდული მონიტორინგი და შეფასება, ყოველი სტუდენტის თითოეული სწავლის შედეგის განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულთან მიმართებით და იმ შემთხვევაში, თუ სამიზნე ნიშნული არ იქნება მიღწეული, განისაზღვრება გაუმჯობესების გზები;

პროგრამის სწავლის შედეგები შეფასდება როგორც პირდაპირი, ასევე, არაპირდაპირი (მაგ., სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები) მეთოდების გამოყენებით;

პროგრამის სამიზნე ნიშნულებად განისაზღვრა 2011 წლიდან დღემდე საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების მაჩვენებლები (მაგალითად, გამოქვეყნებისა და დაცვის მაჩვენებლები, სტუდენტების აკადემიური მოსწრება) და, ასევე, საერთაშორისო ექსპერტების მხრიდან მიღებული უკუკავშირი;

დოქტორანტები ინფორმირებულნი იქნებიან მიღწეული სწავლის შედეგების შესახებ როგორც სასწავლო კომპონენტების, ასევე კოლოკვიუმების ფარგლებში წარდგენილი პროგრესის ანგარიშების საფუძველზე.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის ტრენინგს პროგრამის შეფასების, კონკრეტულად კი - პროგრამის შედეგების განსაზღვრის, მათი შეფასებისა და ანალიზის შესახებ, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს უნივერსიტეტში არსებული „აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი (TSDC)“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. სადოქტორო პროგრამა;
2. სილაბუსები/კონცეფციები;
3. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება;
4. ილიას სახელმწიფო უნივერიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;
5. პროგრამის განხორციელების შეფასების წესი;
6. სამიზნე ნიშნულები, სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
7. პროგრამის სამუშაო ჯგუფის ოქმები;
8. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა ,,არგუსი“

http://argus.iliauni.edu.ge;

9. უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - www.iliauni.edu.ge;
10. სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები (მათ შორის სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის კითხვარები;
11. პროგრამის გარე შეფასების დოკუმენტი;
12. აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის (TSDC) სამოქმედო გეგმა;
13. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო პროგრამის შრომის ბაზრის და დასაქმების კვლევა.

რეკომენდაციები: -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო პროგრამის შრომის ბაზრის და დასაქმების კვლევის“ ფარგლებში დამსაქმებელთა ფართო სპექტრის (მ.შ., სურსათის უვნებლობის სამსახურები, გარემოს ჯანმრთელობის მიმართულებით დაკავებული სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციები, საზოგადოებრივი ჯანდაცვის გადამდები დაავადებების დეპარტამენტები, სამედიცინო დაწესებულებების ადმინისტრაციული და ხარისხის სამსახურები) ჩართვა, მეტი უკუკავშირი დამსაქმებლებთან

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -

შეფასება

- ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	➢			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო პროგრამას განსაზღვრული აქვს დაშვების წინაპირობები, რომელიც მოიცავს აპლიკანტისთვის წაყენებულ მოთხოვნებსა და პროცედურებს. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები საჯაროა და ხელმისაწვდომია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე. პროგრამაზე მიღების პირობები და მიღებასთან დაკავშრებიული სხვა რელევანტური ინფორმაცია მიღების გამოცხადების წინ თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე. რიგ წინაპირობებთან გვაქვს შემდეგი აზრი ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებული, მედიცინის

სფეროს მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ან საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, სოციალური მეცნიერებების, ეკონომიკისა და მენეჯმენტის დარგში მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. - ჩანაწერი „მედიცინის სფეროს მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი“ - საჭიროებს დაზუსტებას, მინისტრის ბრძანების 69/ნ 2019 წლის ბრძანების შესაბამისად.

ე) ზეპირი გამოცდას, რომელზეც ხდება დარგობრივი ცოდნის შეფასება, სადოქტორო

კვლევითი განაცხადის პრეზენტაცია, სამუშაო გამოცდილების და მოტივაციის შეფასება-

როდესაც აპლიკანტი არ არის ჯანდაცვითი დარგობრივი განათლების მიმართულების მქონე, მისაღები კონტიგენტის სამუშაო გამოცდილებასთან დაკავშირებით საჭიროა მოხდეს პირობის მეტი დაკონკრეტება მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება მუშაობდეს ჯანდაცვის სისტემაში გარკვეული წლების მანძილზე. მაგალითად ტექნიკური, სამეურენო დარგის თანამშრომელი და სხვა მსგავს პოზიციებზე მყოფი აპლიკანტის გამოცდილება ვერ იქნება რელევანტური პროგრამის ძირითად საწავლო საკითხებთან და სიღრმესთან (პროგრამის დარგობრივი საგნები, როგორიცაა ეპიდემიოლოიგა, ბიოსტატისტიკა), მოითხოვს გარკვეული საწყისი დონის ცოდნას კონკრეტულ საბაზო მიმართულებებში, რომელზეც დაფუძნებულია სადოქტორო სწავლების აღნიშნული საგნები. სამედიცინო ენისა და მეტყველების გამართული ცოდნა, ასევე მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დანახვის უნარი. ახსნა დაავადებების მართვასთან დაკავშირებით მოითხოვს გარკვეულ ცოდნასა და უნარებს, რაც რიგ შემთხვევებში შესაძლებელია მიღწეულ იქნას სათანადო პოზიციებზე მუშაობის, დარგობრივი/მიზნობრივი ტრენინგებზე სწავლებების გავლის არსებობით.

შესაბამისად, 3 წლიანი და მეტი ჯანდაცვის სექტორში მუშაობის გამოცდილება სადოქტორო განათლებისა და დასაქმების პოზიციების დონეზე, საჭიროებს გარკვეულ მისაღებ პირობადებებს, რომელიც პროგრამაზე არარელევანტური დოქტორანტების მიღების საშულებას შეზღუდავს და ყოველივე წინასწარ ცნობილი იქნება აპლიკანტისთვის

კვლევითი განაცხადის შეფასების ფორმატში მოცემულია სადოქტორო კვლევითი პროექტის მონახაზის შეფასების მატრიცა, სადაც

(ა) საკვლევი თემა/პრობლემა

(ბ) ლიტერატურის მიმოხილვა

(გ) კვლევის მიზანი, საკვლევი კითხვა/ები ან/და ჰიპოთეზა

(დ) მეთოდოლოგია

(ე) კვლევის მოსალოდნელი შედეგები

(ვ) განაცხადის ენა და სტილი

დანართი 3-ის მიხედვით თემის/პრობლემის შეფასება მოწოდებულია თითოეულ პოზიციაზე შეფასების 5 ბალიანი ფორმატი „ სადოქტორო კვლევითი განაცხადის შეფასების ფორმა“

მაგალითად:

საკვლევი თემა/პრობლემის (რამდენად მკაფიოდ არის განსაზღვრული საკვლევი თემის/პრობლემა; რამდენად სწორად, თანმიმდევრულად და საკმარისად არის დასაბუთებული მისი აქტუალურობა და შესრულებადობა)

შეფასება ფაქტობრივად წარმოებს 5 ბალიანი შკალით და არის ერთი ე.წ. კომბინირებული შეფასების კრიტრიუმი, მაშინ როდესაც აღნიშნული კრიტერიუმი შედგება სულ მცირე 2 **თვისობრივი** ქვეკრიტერიუმებით:

1.რამდენად მკაფიოდ არის განსაზღვრული საკვლევი, თემის/პრობლემა

2. რამდენად სწორად, თანმიმდევრულად და საკმარისად არის დასაბუთებული მისი

აქტუალურობა და შესრულებადობა;

რომელთანგან თითოეულs ესაჭიროება თავისი შეფასება.

ან კრიტერიუმი

„სამუშაო გამოცდილება - განიხილება აპლიკანტის რეზიუმე (CV), სარეკომენდაციო წერილი: ყურადღება გამახვილდება აპლიკანტის მიღწევებზე, ჯანდაცვის სფეროში მუშაობის გამოცდილებაზე; სამუშაო პროცესის ადეკვატური ანალიზის და თვითშეფასების უნარზე“

- აქვე ისმის კითხვა, როგორ ფასდება /ან მიიჩნევა მიღწევად აპლიკანტის მიღწევები? ჯანდაცვის სფეროში მუშაობის გამოცდილება? პროგრამისთვის რა არის კონკრეტულად „სამუშაო გამოცდილება“? წლები? მრავალსექტორულობა? დარგში სხვადასხვა დონეებზე მართვის წარმატებული გამოცდილება? და სხვა. კონკურსის პირობებში როგორ და

რამდენად სამართლიანად მოხდება რამდენიმე აპლიკანტს შორის არჩევანის უპირატესობის განსაზღვრა და როგორ ვზომავთ? შესაბამისად გაზომვადობა, გამჭვირვალეობა მნიშვნელოვანია. თითოეული ე.წ.კომბინირებული კრიტერიუმი მოითხოვს ქვეკომპონენტების მიხედვით სათანადო შეფასებას მოწოდებული ხუთ ქულიანი სარეიტინგო სკალის შესაბამისად, ან სხვა მეთოდოლოგიით, რათა გამჭირვალედ მოხდეს კონკურსის პირობებში წარმატებული/მისაღები კონტიგენტის განსაზღვრა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. სადოქტორო პროგრამა; 2. სადოქტორო პროგრამაზე მიღების პროცედურები და შეფასების სისტემა; 3. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი, რუბრიკა „სწავლა“ 4. www.iliauni.edu.ge; 5. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადისერტაციო 6. საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება. 7. ვიზიტის დროს შემდგარი ინტერვიუ
რეკომენდაციები: • დაზუსტდეს სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობა და კრიტერიუმები შესაბამისი ცოდნისა და უნარების აპლიკანტების შერჩევის უზრუნველყოფის მიზნით. შესაბამისად “მიღების პროცედურებისა და შეფასების სისტემის” დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრული წინაპირობები გახდეს გაზომვადი და გამჭვირვალე.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ➢ ჩანაწერი „მედიცინის სფეროს მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი“ - საჭიროებს დაზუსტებას, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების 69/ნ 2019 წლის ბრძანების შესაბამისად.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. რაც მოიცავს

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და

გაუქმების წესსა და პროცედურებს, რომელიც წარმოადგენს პროგრამის შემუშავებისა და დაგეგმვის ძირითად პრინციპებს, მასთან დაკავშირებულ პროცესებს.

პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულია პროგრამის შეფასების კრიტერიუმები,

პროგრამის შემადგენელ ნაწილებთან მიმართებაში, ეფუძნება საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებას.

პროგრამის ფორმირების პროცესი განხორციელდა სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართულობის მიხედვით, ეტაპობრივად კომუნიკაციის პირდაპირი და უკუკავშირების გამოყენებით. მაგალითად ინტერვიუირებისას წარმოდგენილ იქნა საკითხი სწავლის შედეგების კორექციის/ცვლილებების შესახებ, რაზეც ისაუბრეს ვიზიტში მონაწილე პირებმა და აღნიშნეს, რომ „პროგრამის სამუშაო ჯგუფმა განიხილა მიღებული უკუკავშირი (შენიშვნები, რეკომენდაციები), შეიტანა ცვლილებები სწავლის შედეგების პირველად ვერსიაში და შექმნა სწავლის შედეგების რუკა“

პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის

შედეგებს.

პროგრამის შინაარსში მოცემულია დარგობრივი ძირითადი საგნები / ბიოსტატისტიკა, ეპიდემიოლოგია/ რომელთა შესწავლისათვის აუცილებელია საწყისი საგნობრივი ცოდნა, რის შესახებ ცოდნა ვერ დგინდება პროგრამაზე მიღების წინაპირობებიდან

შესაბამისად, არსებობს რისკი კონკრეტული საგნების წარმატებით ვერ გავლასთან დაკავშირებით.

პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს სწავლის შედეგებს, სავალდებულო საგნების სახით წარმოდგენილია კურსებად ფორმირებული კვლევითი შინაარსის მქონე სადოქტორო სემინარები (I და II), ძირითადი საბაზო დარგობრივი საგნების ეპიდემიოლოგია-ბიოსტატისტიკის, ჯანდაცვაში კვლვითი მეთოდების /რაოდენობრივი და თვისობრივი/ შესახებ, ასევე სამეცნიერო კომუნიკაციის: ინგლისური სამეცნიერო წერა დოქტორანტებისთვის, ჯანაცვის პოლიტიკის, ეკონომიკა და ადვოკატირება სასწავლო კურსები თანაბრად განაწილებული 6-6 ECTS მიხედვით. რაც სადოქტორო ნაშრომთან ერთობლიობაში, გამოქვეყნებული სტატიების მოთხოვნებთან მიმართებაში(სადოქტორო ნაშრომის წარდგენა დაცვისთვის შესაძლებელია მხოლოდ სადოქტორო პროგრამით

გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის შესრულების და პუბლიკაციების ან პუბლიკაციებზე თანხმობის წარდგენის შემდეგ) ქმნის სწავლის შედეგებზე გასვლის საშუალებას.

პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამა შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან და აგებულია ევროპული

კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. მისი ხანგრძლივობაა 3-5 აკადემიური წელი. სწავლის განმავლობაში დოქტორანტმა უნდა დააგროვოს სასწავლო კომპონენტში 60 კრედიტი, რომელთა განაწილებაც პროგრამის ძირითადი და არჩევითი კურსების სასწავლო-კვლევითი კომპონენტების სახით. კერძოდ: სადოქტორო სემინარები (I და II) იწყება პირველივე წლიდან და მოიცავენ პირველ-მეორე სემესტრებს, სადოქტორო სემინარი II -ის წინაპირობას წარმოადგენს სადოქტორო სემინარი I-ის წარმატებით დასრულება.

სწავლის შედგების რუქის შესაბამისად, პროგრამის კურსების შინაარსი და სემესტრული განაწილება ლოგიკურად არის დალაგებული სასწავლო და კვლევით კომპოენტებთან

მიმართებაში

ყველა საგანი/სადოქტორო სემინარი წარმოადგენს 6- 6 ECTS კრედიტს.

საგანი „ეფექტური სამეცნიერო კომუნიკაცია: ინგლისური სამეცნიერო წერა დოქტორანტებისთვის“ მოწოდებულია 4-8 სემესტრებში, მისი გავლისთვის დოქტორანტს უნდა ჰქონდეს დაცული პროსპექტუსი და უნდა ჰქონდეს მზად საკუთარი კვლევის შედეგები. ასევე მოწოდებულია სადოქტორო კოლოკვიუმი მე-3დან მე- 9 სემესტრის სემინარებში მონაწილეობა.

კვლევითი ასისტირებისას დოქტორანტს დაცული უნდა ჰქონდეს პროსპექტუსი;

სასწავლო ასისტირების დაწყებამდე დოქტორანტს გავლილი უნდა ქონდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებული მინიმუმ ერთი ტრენინგი. უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის ტრენინგ კურსის გავლის სავალებულო მოთხოვნა საჭიროებს გადახედვას (ფაქტობრივად ცენტრის ნებისმიერი ტრენინგ კურსი წარმოდგება, როგორც ძირითადი სადოქტორო კურსის წინაპირობა), როდესაც ის არ მოიძიება ძირითად სასწავლო კურიკულუმში.

****სადოქტორო ნაშრომის წარდგენა დაცვისთვის შესაძლებელია მხოლოდ სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის შესრულების და პუბლიკაციების ან პუბლიკაციებზე თანხმობის წარდგენის შემდეგ, სადოქტორო პროგრამის აუცილებელი პირობაა საერთაშორისო რეფერირებად გამოცემაში გამოქვეყნება. კერძოდ, დოქტორანტს სადოქტორო ნაშრომის დაცვამდე მოეთხოვება საერთაშორისო რეცენზირებად თემატურ ჟურნალში მინიმუმ ორი პუბლიკაცია. სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებულია და ჩამოყალიბებულია პუბლიკაციისადმი მოთხოვნები/ საბუნებისმეტყველო

მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის

დებულების დოკუმენტში/. აღნიშნული ხელს უწყობს ერთი მხრივ პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას და მეორე მხრივ, დოქტორანტის ინტეგრირებას საერთაშორისო სამეცნიერო და აკადემიურ სივრცეში.

დოქტორანტისთვის ინტერესდაქვემდებარებული სასწავლო არჩევითი კურსების ჯამური კრედიტი შეადგენს 12 ECTS, რაც წარმოდგენილია ასევე 6-6 ECTS მქონე კრედიტების

არჩევითი 4 საგნის სახით: 1.გლობალური ჯანდაცვა 6 ECTS 2. თემზე დაფუძნებული თანამონაწილეობითი კვლევა (CBPR) საზოგადოებრივი ჯანდაცვისათვის 6 ECTS 3. ჯანდაცვითი პროგრამების შემუშავება, შეფასება და იმპლემენტაციური კვლევა 6 4. დარგობრივი სემინარი 6 ECTS, რომელთაგან ირჩევს ორ საგანს, სულ 12 ECTS **მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.** მისანიჭებელი კვალიფიკაცია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო პროგრამისთვის წარმოადგენს: საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი (PhD in Public Health), შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. სადოქტორო პროგრამა; 2. სილაბუსები/კონცეფციები; 3. ილიას სახელმწიფო უნივერიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები; 4. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო პროგრამის შრომის ბაზრის და დასაქმებისკვლევა; 5. სადოქტრო პროგრამების შეფასების კვლევის ანგარიში; 6. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები; 7. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადისერტაციო 8. საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება; 9. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: www.iliauni.edu.ge; 10. არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა “არგუსი”.
რეკომენდაციები: 1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, სოციალური მეცნიერებების, ეკონომიკისა და

მენეჯმენტის დარგში მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებისთვის პროგრამაზე დაშვების ერთ-ერთ წინაპირობად მოთხოვნილ იქნეს ეპიდემიოლოგია-ბიოსტატისტიკის მიმართულების ცოდნის დადასტურება; 2. პროგრამის კურიკულუმს ძირითადი საგნის სახით დაემატოს პედაგოგიკის სტრატეგიებისა და ტექნოლოგიების, სწავლების მეთოდების შინაარსის მქონე კურსი;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ➢ **☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი **სადოქტორო სემინარები:** სადოქტორო სემინარი I და სადოქტორო სემინარი II. თითოეული სემინარი 6 კრედიტიანია. სადოქტორო სემინარების ფარგლებში ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელებთან ერთად დოქტორანტები მუშაობენ პროსპექტუსზე, რომლის მონახაზი შესრულებული იყო სადოქტორო პროგრამაზე მიღების განაცხადში. სემინარის განმავლობაში დოქტორანტები: დოქტორანტები თავიდან განსაზღვრავენ საკვლევი საკითხს, აკეთებენ ლიტმიმოხილვას, გამოყენებული მეთოდების შეფასებებს. შემდგომ ფოკუსურდება ახალი ცოდნის შექმნის საკითხი და ყალიბდება

კვევის მიზანი, კვლევის გეგმა, გადაანგარიშდება ახალ რეალობაში წარმოდგენილი კვლევის გეგმის ხარჯები და გეგმა -გრაფიკი. პროსპექტუსის დაცვის შემდგომ უნივერსიტეტის კვლევითი პროექტების ეთიკურობის დამდგენი კომისია ადგენს შესაბამისობას საუნივერსიტეტო და საერთაშორისო კვლევითი აქტივობებთან მიმართებაში არსებულ ეთიკის საკითხს, რომლის შემდეგ უფლებამოსილია დოქტორანტი აწარმოოს კვლევა.

კოლოკვიუმს არ აქვს კრედიტი, ის სრულდება მე-3 დან მე-9 სემესტრების ჩათვლით, პროსპექტუსის დაცვის შემდეგ. დოქტორანტმა უნდა შეასრულოს სემესტრში ერთი კოლოკვიუმი. კოლოკვიუმების ფარგლებში დოქტორანტები წინასწარ შეთანხმებული

კვლევის გეგმის შესაბამისად, გარკვეული პერიოდულობით (სემესტრში ერთხელ) წარადგენენ თავიანთი კვლევების შედეგებს პროგრამაში ჩართული პროფესორების, პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და დოქტორანტების (მათ შორის მომიჯნავე დისციპლინების სადოქტორო პროგრამებიდან) წინაშე და იღებენ მათგან უკუკავშირს

ასისტირება სადოქტორო პროგრამაში წარმოდგენილია 6 ECTS მოცულობით, იგი უზრუნველყოფს დოქტორანტის ჩართულობას სწავლებასა და კვლევასთან დაკავშირებულ აკადემიურ პროცესებში. სწავლების ასისტირების შემთხვევაში დოქტორანტი აკადემიური კურსის პროფესორს უწევს ასისტირებას. თვთიშეფასებასა და ასისტრიების სილაბუსში ასახულია რომ სწავლების ასისტირების დაწყებამდე დოქტორანტს გავლილი უნდა ჰქონდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებული მინიმუმ ერთი ტრენინგი, რომელთა მიზანია სწავლების და შეფასების ახალ მეთოდებთან და მიდგომებთან დაკავშირებული თეორიული საფუძლების გაცნობა და შესაბამისი პრაქტიკული უნარების განვითარება. უმნიშვნელოვანესია პედაგოგიური თეორიებისა და მეთოდების შესახებ ცოდნის მიწოდება მოხდეს უშუალოდ პროგრამის კურიკულუმში, დამატებით შესაძლებელია ტრენინგცენტრში გაიაროს სწავლება მისთვის საინტერესო თემატიკების მიხედვით, მაგრამ შესაბამისი დონის ცოდნისა და უნარების ფორმირება უნდა განხორციელედეს სასწავლო კურსის ფარგლებში, რამეთუ პროგრამაში შესაბამისი ცოდნის არსებობა მოითხოვება საგნის „ასისტირება“ წინაპირობის შინააარსით.

„ეპიდემიოლოგია“ 6 ECTS, 32 საკონტაქტო საათი, ეპიდემიოლოგიის მიზანს წარმოადგენს

უახლეს კვლევებზე დაფუძნებული კომპლექსური ცოდნა ეპიდემიოლოგიური კვლევის დიზაინისა და სპეციფიკის შესახებ...; ძირითად სასწავლო ლიტერატურად მითითებულია L. Gordis. (2015) Epidemiology: Sixth edition. Elsevier, ჩანაწერი მოითხოვს შესწორებას მეექვსე გამოცემის წლის შესაბამისად. 2015 წელს მეექვე გამოცემა ჯერ არ იყო. 2018 წელს ფიქსირდება Elsevier-ის გვედეზე მეექვსე გამოცემა, ელექტრონული ფორმატი 2020 წელს. გარდა ამისა, სილაბუსში ნაკლებადაა წარმოდგენილი შესაბამისი სამეცნიერო თანამედროვე ლიტერატურა/სტატიები. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ აღნიშნული ლიტერატურით სარგებლობენ სამაგისტრო სწავლების დონეზე საერთაშორისო და საქართველოში არსებული რიგი უნივერსიტეტები, შესაბამისად დიდი მნიშვნელობა ენიჭება უახლესი სამეცნიერო სტატიებით ცოდნის გაფართოებას და მათით სადოქტორო საფეხურზე სასწავლო ლიტერატურის გაძლიერებას.

შეფასების სისტემაში კონკრეტულ კრიტერუმებზე გვხვდება **ინტერვალები,** ცალსახად ძნელდება დადგენა იმისა, თუ როგორ მიიღო სტუდენტმა ესა თუ ის ქულა. მსგავსი საკითხი არის სხვა სილაბუსებშიც.

მაგალითად, წერით ნაშრომის შეფასება (20 ქულა), 11 - 15 ქულა ენიჭება თუ:

პასუხი შემოიფარგლება მშრალი ფაქტების ზოგადი გადმოცემით;

შეიცავს რამდენიმე უმნიშვნელო უზუსტობას, მსჯელობა მეტწილად

დასაბუთებულია, თუმცა მისი თანმიმდევრულობა ზოგჯერ

დარღვეულია; პროგრამით გათვალისწინებული მასალა მეტწილად

გამოყენებულია; პასუხი ძირითადად მოიცავს საკითხის

კომპლექსურ ანალიზს.

რა შემთხვევაში ანიჭებს ლექტორი 13 ქულას? აღნიშნული მნიშვნელოვანია, რადგან საგნის დაძლევის ბარიერად მიჩნებულია რა კონკრეტული ზღვარი, ერთი ქულის ნაკლებობა წყვეტს საგნის მიერ განსაზღვრული შედეგების მიღწევის შესაძლებლობების შეფასებას.

„კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები ჯანდაცვაში“ 6 ECTS, 32 საკონტაქტო საათი, სწავლის შედეგებში დარგობრივ კომპენტეციებში მოცემულია, რომ დოქტორანტს შეუძლია: - უახლეს მეთოდებზე/ტენდეციებზე დამყარებული ცოდნის

შედეგად, დაასაბუთოს რაოდენობრივი და თვისებრივი მიდგომებით

კვლევის ჩატარების საჭიროება და შეარჩიოს კვლევის მართებული დიზაინი;

შედეგის მიღწევისთვის გამოყენებულია შეფასების სათანადო კრიტერიუმები შემთხვევის განხივლისა და თემატური ფილმების, სავარჯიშოები დაგეგმილი ინტერვიუების, სამეცნიერო სტატიის შეფასების და სხვა რელევანტური ღონისძიებების გამოყენებით. აქვს თვისებრივი და კვლების ანალიზისთვის გამოყენების საშუალება მოწოდებული პროგრამა

Nvivo 12 ონლაინ გვერზე.

„ეფექტური სამეცნიერო კომუნიკაცია: ინგლისური სამეცნიერო წერა დოქტორანტებისთვის“ 6 ECTS, 48 საკონტაქტო საათი, ძირთად სასწავლო ლიტერატურად განსაზღვრულია Turabian, Kate. 2013. A Manual for Writers of Research Papers, Theses, and Dissertations: Chicago Style for Students and Researchers. 8th Edition, University of Chicago Press. კურსის მიზანია შეასწავლოს დოქტორანტებს ლოგიკური სამეცნიერონარატივის სტრუქტურირება და ორგანიზება მკაფიო და ეფექტური სტილის გამოყენებით, რაც მკითხველს მისცემს საშუალებას მიჰყვეს სამეცნიერო არგუმენტაციას და ადვილად გაიგოს წარმოდგენილი მონაცემების კონტექსტი და მნიშვნელობა. წარმოდგენილია შუალედური მიზნობირვი შეფასებები. შეფასებების დროს არის განსაზღვრული მაქსიმალური ქულები და მათი დიფერენციაცია გარკვეული ცოდნის/გადაცდომის შეფასებებისათვის არ მოიპოვება ჩანაწერებში. მაგალითად: კრიტერიუმი - გრაფიკების და ილუსტრაციების მართებული გამოყენება - მაქს. 10 ქულა, როგორ ხდება 4 ქულად შეფასება? ყურადღება გამახვილებულია პლაგიატზე, რაც მნიშვნელოვანია ეთიკისა და სამეცნიერო პატიოსნების ფორმირებისათვის.

„ბიოსტატისტიკა“ 6 ECTS, 63 საკონტაქტო საათი. სასწავლო თემატიკები წარმოდგენილია თანამედორვე ლიტერატურის Harvey Motulsky. Intuitive Biostatistics: A Nonmathematical Guide to Statistical Thinking (4th edition). 2018 Oxford University Press. უახლესი ცოდნის გაცნობა და მასზე კრიტიკული მაუშაობისათვის, კარგი იქნებოდა მიზნობირვი სამეცნიერო ჟურნალების / სტატიების მითითება. შეფასების სისტემაში გამოყენებულია ცნება ა) დადგენილი ვადის დაცვა (მაქს. 5 ქულა) ხოლო დაგვიანებით წარმოდგენაის შემთხვევაში 1 ქულის დაკლება. ცდონისა და უნარის შეფასებითი ქულის გამოყენება დისციპლინურ საკითხზე არ უნდა ხდებოდეს. საგნის შედეგებზე გასვლა ფასდება შუალედური და დასკვნითი შეფასებებით

„ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და ადვოკატირება“ 6 ECTS 40 საკონტაქტო საათი

სასწავლო კურსის გავლის შემდეგ, დოქტორანტს შეუძლია: მსოფლიოსა და საქართველოს ჯანდაცვის სფეროში არსებული აქტუალური პრობლემების ანალიზისა და შეფასების

საფუძველზე დამოუკიდებელი დასკვნების არგუმენტაცია და მათი ადვოკატირების მიზნით კომუნიკაცია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან; გაანალიზოს და შეაფასოს ეკონომიკური და სოციალური თეორიების გავლენა ჯანდაცვის პოლიტიკის

გადაწყვეტილებებზე; ჯანდაცვის პოლიტიკის ადვოკატირების ეფექტიანობის

შეფასება სპეციალური ინდიკატორების მეშვეობით; ჯანდაცვის პოლიტიკის ადვოკატირების მიზნით მედიის სტრატეგიული გამოყენება და სტრატეგიული ანალიზის

ჩატარება.

შედეგის მიღწევისთვის გამოყენებულია შეფასების შუალედური და დასკვნითი ფორმები, პოლიტიკის ანგარიში და პოლიტიკის ანგარიშის რეზიუმე სულ 70 ქულა, პოლიტიკის ანგარიშის პრეზენტაცია 30 ქულა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საკითხების სიმრავლე და სიღრმე მოითხოვს საგნისთვის მეტი დროის/კრედიტის დათმობას. სასწავლო ლიტერატურად გამოყენებულია თანამედროვე აღიარებული ლიტერატურა: Sherman Folland, Allen C. Goodman, Miron Stano. The Economics of Health and Health Care 8th Edition. Routledge. 2018; Thomas Bodenheimer. Understanding Health Policy, 8th Edition. McGraw-Hill Medical; 2020 და სხვა

არჩევითი კურსები თითეული არის 6-6 კრედიტი, გლობალური ჯანდაცვა 49 საკონტაქტო სთ, თემზე დაფუძნებული თანამონაწილეობითი კვლევა საკონტაქტო სთ,

(CBPR) საზოგადოებრივი ჯანდაცვისათვის 34 საკონტაქტო სთ, ჯანდაცვითი პროგრამების შემუშავება, შეფასება და იმპლემენტაციური კვლევა 6 კრედიტი 32 საკონტაქტო საათით, ყველა საგანს აქვს განსაზღვრული შეფასების შესაბამისი კრიტერიუმები,

სასურველი იქნება წიგნების განახლებული ვერსიების წარმოდგენა, მაგალითად Health Program Planning and Evaluation: A Practical, Systematic Approach for Community Health

Jones & Bartlett Publishers 2014 წლის შემდეგ გამოსულია შემდგომი გამოცემა 2017 წელს, განახლებული ვერსია.

სადოქტორო ნაშრომი და დაცვა

სადოქტორო ნაშრომი იქმნება სადოქტორო პროგრამის განმავლობაში და მისი მიზანია,

გამოავლინოს დოქტორანტის მიერ უახლეს მიღწევებზე დამყარებული საკვლევი პრობლემის/საკითხის ცოდნა, მისი უნარი გააცნობიეროს ახალი ცოდნის შექმნის შესაძლებლობები და საკვლევი მიმართულებით არსებული ცოდნის გაფართოების პერსპექტივები. სადისერტაციო ნაშრომის დაცვამდე დოქტორანტს უნდა ჰქონდეს: დაგროვებული პროგრამით განსაზღვრული კრედიტები; გამოქვეყნებული (ან ჟურნალის რედაქციისგან მიღებული გამოსაქვეყნებლად) ორი სამეცნიერო პუბლიკაცია

საერთაშორისო უცხოურ რეფერირებად თემატურ ჟურნალში/ჟურნალებში, რომლებიც აღიარებულ საერთაშორისო ნუსხებშია შესული (Clarivate Analytics Master Journal List, Scopus), რომელთა იმპაქტ ფაქტორი ან ციტირების ქულა აღემატება 0.5-ს, შესრულებული სადოქტორო კოლოკვიუმები (სემესტრში მინიმუმ ერთი); შესრულებული ადვოკატირების კომპონენტი.

ნაშრომის დაცვის ეტაპები მოიცავს:

• დოქტორანტის მიერ ნაშრომის წარდგენას ხელმძღვანელისთვის/ხელმძღვანელებისთვის

უკუკავშირისთვის, ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების მიერ ნაშრომის წარდგინებას;

სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობისა და რეცენზენტების (მინიმუმ ორი) განსაზღვრას ფაკულტეტის საბჭოს მიერ დარგობრივი კომისიის წარდგინებით; სადოქტორო ნაშრომის შეფასებას რეცენზენტების მიერ; საჯარო დაცვას სადისერტაციო საბჭოს წინაშე.

რეცენზენტების ნომინირებისას, დარგობრივი კომისია ხელმძღვანელობს შემდეგი მოთხოვნებით: რეცენზენტებიდან (მინიმუმ ორი) ერთი რეცენზენტი აუცილებლია იყოს მოწვეული პირი; რეცენზენტებს უნდა ჰქონდეთ დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; რეცენზენტების კვალიფიკაცია უნდა შეესაბამებოდეს დოქტორანტის კვლევის მიმართულებას; რეცენზენტებს უნდა ჰქონდეთ კვალიფიკაციის შესაბამისი კვლევითი გამოცდილება; რეცენზენტები უნდა იკავებდნენ პროფესორის აკადემიურ პოზიციას უმაღლეს სასწავლებელში ან მეცნიერ-თანამშრომლის/მკვლევარის პოზიციას კვლევით ინსტიტუტში; რეცენზენტებსა და დოქტორანტს/ხელმძღვანელებს შორის არ უნდა არსებობდეს ინტერესთა კონფლიქტი, როგორიცაა მიმდინარე პროექტებში თანამშრომლობა ან სხვა; აღნიშნული უზურუნველყოფს სადისერტაციო ნაშრომზე მაღალკვალიფიციური და მკვლევარი პირების მიერ მიუკერძოებელ და კრიტიკულ, გამჭვირვალე შეფასებას მოწოდებული ფორმებისა და გადაწყვეტილებების მიხედვით.

წარდგენილი სადოქტორო ნაშრომის და ზეპირი დაცვის საფუძველზე სადისერტაციო

კომისია განსაზღვრავს წარმოდგენილი ფრიადი (summa cum laude), ძალიან კარგი (magna cum laude), კარგი (cum laude), საშუალო (bene), დამაკმაყოფილებელი (rite), არადამაკმაყოფილებელი (insufficient), სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) ერთ-ერთ შემდეგ შეფასებას. თუ დისერტანტმა მიიღო უარყოფითი შეფასება - insufficient - არადამაკმაყოფილებელი, მან გადამუშავებული ნაშრომი უნდა წარადგინოს ერთი წლის განმავლობაში. შეფასების დანართით წარმოდგენილ კრიტერიუმებში განიხილება ა) საკვლევი საკითხის განსაზღვრა 12 ქვეკრიტერიუმით, ბ) მეთოდოლოგია 3 ქვეკრიტერიუმით გ) ანალიზი, დასკვნები, ინტერპრეტაცია 6 ქვეკრიტერიუმით დ) ორგანიზაცია, სტილი 4 ქვეკრიტერიუმით და სადოქტორო ნაშრომში სრულად უნდა იყოს დაცული ჩიკაგოს აკადემიური სტილის სტანდარტები. ნაშრომი არ მიიჩნევა დასრულებულად, თუ მასში დგინდება შეუსაბამობა აკადემიური სტილის სტანდარტებთან მიმართებაში და არ აქვს გავლილი Turnitin პროგრამის მეშვეობით პლაგიატზე შემოწმება.აღნიშნული ეტაპები და წინაპირობები, სათანადოდ მართულ პროცესებთან ერთად უზრუნველყოფენ გამჭირვალე და სამეცნიერო შედეგზე/პრობლემის ძიება, კვლევა, გადაწყვეტა/ ორიენტირებულ კვლევითი უნარებისა და ცოდნის წარმოჩენას, ახლის შექმნისა და ან ცოდნის საზღვრების გაფართოების სახით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. სადოქტორო პროგრამა 2. სილაბუსები 3. ინტერვიუირება
რეკომენდაციები: 1. უახლესი სამეცნიერო დარგობრივი ლიტერატურის სახით შესაბამისი სამეცნიერო ჟურნალების/სტატიების ჩართვა საგნებში: ბიოსტატისტიკა, ეპიდემიოლოგია; 2. საგნებში შეფასების კრიტერიუმების მიხედვით მოხდეს ქულების მეტი დაზუსტება, რათა ცხადი იყოს კონკრეტული ქულის მინიჭების პირობა; 3. საგნის„ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და ადვოკატირება“ მინიჭებული კრედიტის გაზრდა სასწავლო თემატიკების სიმრვალისა და სიღრმიდან გამომდინარე

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • პერიოდულად განახლებული სამეცნიერო ლიტერატურის შეტანა სილაბუსებში
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ➢ **☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ხელს უწყობს დოქტორანტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელი კომპონენტებისა და ინიციატივების განხორციელებაში. უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო კვლევების კოორდინაციისა და განვითარების სამსახურები ახდენენ საქართველოსა და საზღვარგარეთ მიმდინარე პროექტების და გაცვლითი პროგრამების შესახებ დოქტორანტების ინფორმირებას. განვითარების სამსახური ამავდროულად სთავაზობს დოქტორანტებს დახმარებას საპროექტო განაცხადების მომზადებასა და წარდგენაში; გრანტების ადმინისტრირებაში, დონორებთან ურთიერთობების გაღრმავებაში; დოქტორანტთა კომპეტენციების განვითარების მიზნით გამოყენებულია ევროკომისიის პროექტის NUCLEUS-ს კონსორციუმის წევრობის (2017 წლიდან) ფარგლებში არსებული შესაძლებლობები: აღნიშნული პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს სამეცნიერო კვლევითი პროექტების გაძლიერებას და მათ ინტერნაციონალიზაციას, სოციალურ საჭიროებებზე ორიენტირებული კვლევებისა და ინოვაციების სტიმულირებას. უნივერსიტეტი სადოქტორო პროგრამების მხარდაჭრის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად განიხილავს 2017 წელს დაფუძნებულ კარლფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის სახელობის საერთაშორისო სადოქტორო სკოლის არსებობას, რომელიც ორიენტირებული იქნება აკადემიური კულტურისა და კვლევითი გარემოს შექმნაზე და მისცემს შესაძლებლობას დოქტორანტების ტრანსფერული თუ კვლევითი უნარების

განვითარების მიზნით.

აღნიშნული საერთაშორისო სადოქტორო სკოლა, იქნება რა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და მობილობაზე ძლიერ ორიენტირებული, მსურველებს შესთავაზებს ორმაგ სადოქტორო პროექტებს (Cotutelle-based Ph.D. projects), რომელთა საშუალებითაც მათ ექნებათ შესაძლებლობა ორმაგი და/ან რამდენიმე ხარისხიც კი.

სადოქტორო პროგრამის კომპონენტების ფარგლებში დოქტორანტებს აქვთ შესაძლებლობა დაგეგმონ და განახორციელონ თანამედროვე მოითხოვნების შესაბამისი ინოვაციური კვლევა. პროგრამის პირველ ეტაპზე გათვალისწინებულია სადოქტორო კოლოკვიუმები, რაც აძლევს დოქტორანტს საშუალებას დამოუკიდებლად შეარჩიოს და დაგეგმოს კვლევა, შემდგომ ეტაპზე სწავლების პროცესში შეთავაზებულია მეთოდური კურსები, მათ ფარგლებში განვითარდება დოქტორანტის კვლევითი უნარები და მოხდება კვლევითი პროცესის სისტემატიზაცია, ხოლო სწავლების დამამამთავრებელ ეტაპზე მომზადდება სადისერტაციო ნაშრომი. სადოქტორო კვლევის შედეგების დისემინაცია ხდება სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნებით (სულ მცირე ორი) საერთაშორისო რეცენზირებად გამოცემებში (ინდექსირებული უნდა იყოს Scopus და/ან Claryvate Analytics საერთაშორისო პერიოდული გამოცემების ნუსხებში). დოქტორანტთა კვლევის პროცესში ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით ვფიქრობთ მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის ინიციატივით დაწესებული პასკალის პრემია - ფულადი ჯილდო (3000 ლარი), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან აფილირებული ახალგაზრდა მეცნიერისათვის მნიშვნელოვანი საერთაშორისო პუბლიკაციის მხარდასაჭერად.

პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტის მხრიდან მიწოდებული მხარდაჭერის სერვისებისა და მიღებული გამოცდილების მნიშვნელობა დაადასტურეს პროგრამის კურსდამთავრებულებმა. თუმცა, პროგრამით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში, ბუნდოვანია დოქტორანტების როგორც ფინანსური ვალდებულებების, ასევე მხარდაჭერის საკითხები. კვლევის მხარდაჭერა პარტნიორი ორგანიზაციების ბაზებზე, რომლებთანაც გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. სადოქტორო პროგრამა
2. ხელშეკრულებები/მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან
3. სტრუქტურული ერთეულების დებულებები
4. უნივერსიტეტის ვებგვერდი http://iliauni.edu.ge
5. ინტერვიუ

რეკომენდაციები: -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1. პროგრამით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში, დოქტორანტის ფინანსური ვალდებულებების დაზუსტება.
2. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სექტორის კვლევით დაკავებულ საქართველოს სხვა

ალტერნატიულ სკოლებთან ერთობლივი პროექტების შემუშავება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ➢ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად პროგრამაში გამოყენებულია სწავლა/სწავლების მეთოდები, რომლებიც შეესაბამება ცალკეული კომპონენტების სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაში გამოყენებულია სწავლების შემდეგი მეთოდები: ლექცია, სემინარი, ანალიზი და სინთეზი, დებატები, რეფლექსია, სუპერვიზია და სხვა. განსხვავებული მოთხოვნების სტუდენტების საგანამანათლებლო პროცესში შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტში ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. „არგუსის" ან კორპორატიული მეილის საშუალებით დოქტორანტები მიმართავენ კვლევითი ნაშრომის ხელმძღვანელებს ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრების მიზნით. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი (TSDC), სადაც პერსონალს თავაზობენ ტრენინგ-მოდულებს, მათ შორის სწავლა-სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების განვითარების მიზნით. აღნიშნული ტრენინგ მოდულები შემუშავებულია ევროპულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის საფუძველზე Erasmus+ ინსტიტუციური თანამშრომლობის (CBHE/Ex-Tempus) 2017 წლის საგრანტო კონკურსის 3 პროექტის ფარგლებში (INTEGRITY, PRINTeL,

ASSET).
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა, • თვითშეფასება • სილაბუსები • ინტერვიუ
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ➢ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტების ცოდნის და უნარების შეფასების სისტემა იძლევა დოქტორანტის მიღწევებისა და სწავლის შედეგების შეფასების საშუალებას და შეესაბამება როგორც საქართველოს კანონმდებლობას, ასევე შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციებს, უნივერსიტეტი სტუდენტებს თავაზობს სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემას („არგუსი“), რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებასა და გამჭვირვალობას, შესაბამისად სასწავლო კურსებზე რეგისტრაციისას დოქტორანტი თავიდანვე ეცნობა სილაბუსებს, სადაც განსაზღვრულია

შეფასების წესი და კრიტერიუმები.

სასწავლო კომპონენტების შეფასების სისტემა მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, კონკრეტული სასწავლო კურსის შეფასების სისტემა დგინდება კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, თუმცა რიგ შემთხვევებში შეფასების რუბრიკები მოითხოვს დაზუსტებას, ასეთებია კერძოდ:

- საგრანტო წინადადების სიცხადე- მაქს. 10 ქულა;
- შესაფერისი რეალისტური კვლევითი საკითხის/ების, მათ შორის ტესტირებადი ჰიპოთეზების განსაზღვრა - მაქს. 10 ქულა;
- დამფინანსებელი სააგენტოების ინსტრუქციების დაცვა და შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენება - მაქს. 10 ქულა;
- ნათლად ჩამოყალიბება და ლოგიკური არგუმენტირება - მაქს.10 ქულა;
- მონაცემებზე დაფუძნებული დასკვნები - მაქს. 10 ქულა;
- დისკუსიის სისრულე და შესაბამისობა - მაქს.10 ქულა.

დოქტორანტურის დებულებასა და სადისერტაციო ნაშრომის კონცეფციაში განსაზღვრულია ნაშრომის დაცვისა და შეფასების პროცედურები და შეფასების კრიტერიუმები:

ა) სადისერტაციო ნაშრომი მისაღებია დაცვისთვის ცვლილებების/კორექტირების გარეშე;

ბ) სადისერტაციო ნაშრომი მისაღებია დაცვისთვის ცვლილებების/კორექტირების შემდეგ;

გ) სადისერტაციო ნაშრომი არ არის მისაღები დაცვისთვის.

გადაწყვეტილება ნაშრომის დაცვის შესახებ მიიღება ხმათა უმრავლესობით. კერძოდ: ა) პუნქტში აღნიშნული გადაწყვეტილების შემთხვევაში ინიშნება დისერტაციის (ზეპირი) დაცვა;

ბ) პუნქტში აღნიშნული გადაწყვეტილების შემთხვევაში რეცენზენტებს და სადისერტაციო საბჭოს წევრებს კორექტირებული ნაშრომი წარედგინება ხელახლა განსაზღვრულ ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ კორექტირებული ნაშრომის საფუძველზე რეცენზენტებისა და სადისერტაციო საბჭოს წევრების ხმათა უმრავლესობით მიიღება ბ- ან გ) პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება, დოქტორანტი გაირიცხება პროგრამიდან აკადემიური ჩამორჩენილობის გამო; გ) პუნქტში აღნიშნული

გადაწყვეტილების შემთხვევაში დოქტორანტი გაირიცხება პროგრამიდან აკადემიური ჩამორჩენილობის გამო. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ფაკულტეტის ადმინისტრაცია რეცენზენტებთან და სადისერტაციო კომისიის წევრებთან ათანხმებს დისერტაციის დაცვის დღეს (თარიღს).

სადისერტაციო ნაშრომის დაცვა საჯაროა, შეფასების პროცედურები და კრიტერიუმები ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, არის გამჭვირვალე და სამართლიანი. სადოქტორო ნაშრომები იტვირთება პროგრამაში „Moodle" და მოწმდება პლაგიატზე პროგრამა ,,Turnitin"-ით. პროგრამაში ჩართულმა აკადემიურმა პერსონალმა ინტერვიუს დროს აჩვენა შეფასების თანამედროვე მეთოდების სათანადო ცოდნა.

შეფასების სისტემა სასწავლო კომპონენტების შეფასებისთვის წარმოდგენილია 100 ქულიანი შეფასების სისტემის სახით.

ქულები გადანაწილდება და ისაზღვრება ამგვარად:

(A) 91 - 100 ფრიადი

(B) 81 – 90 ძალიან კარგი

(C) 71 – 80 კარგი

(D) 61 – 70 დამაკმაყოფილებელი

(E) 51 – 60 საკმარისი

(FX) 41 – 50 ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა

დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) 0 – 40 ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. სადოქტორო პროგრამა;
2. სილაბუსები/კონცეფციები;
3. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება;

4. ინტერვიუ
რეკომენდაციები : -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სადისერტაციო შრომათა ვებ გვერდზე განთავსების, უნივერსიტეტის და ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩაბარების სავალდებულო წესის შემუშავება;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ➢ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		➢		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტს სადოქტორო პროგრამის სტუდენტების კონსულტირებისათვის გააჩნია წინასაწარ განსაზღვრული სტრატეგია და პროცედურები. ინფორმაციის მრავალფეროვნების შესაბამისად სხვადასხვა დეპარტამენტი/ხელმძღვანელი უზრუნველყოფს მათ კონსულტირებას, ხოლო სხვადასხვა ინფორმაციის შესახებ კომუნიკაციის გამარტივების მიზნით სადოქტორო პროგრამის სტუდენტებისათვის გამოყოფილია კოორდინატორი

პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის საკონსულტაციო საათების შესახებ ინფორმაცია გაწერილია წინასწარ თვალსაჩინო ადგილებზე, ასევე პერსონალის დატვირთვაში გათვალისწინებულია აღნიშული საათები.

• პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა მარტივად აღსაქმელი და გამჭვირვალეა მსურველთათვის. ინფორმაცია მისაღები გამოცდის და ზოგადი პირობების შესახებ განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერზე (სანიმუშო ტესტების ჩათვლით).

o სტუდენტები მონაწილეობენ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა და სხვადასხვა კვლევით პროექტებში

o დოქტორანტების ინიციატივების/კვლევების მხარდასაჭერად უნივერსიტეტს ნაკლებად აქვს წინასწარ გამოყოფილი ფინანსური და მატერიალური რესურსები სხვადასხვა შიდა გრანტების სახით. კერძოდ, უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილია ''პასკალის'' პრემია, 3000ლ ოდენობით, რომელიც გადაეცემა ახალგაზრდა მეცნიერს საუკეთესო პუბლიკაციისათვის, თუმცა, ცალკეული კვლევისათვის გამოყოფილი შიდა გრანტის შესახებ ინფომაცია მწირია. ინტერვიუების და დოკუმენტაციის გაცნობის საფუძველზე გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტი დოქტორანტს ხელსუწყობს საჭირო უნარების განვითარებაში, რაც მომავლაში სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსში გრანტის სახით დაფინანსების მარტივად მოპოვებაში დაეხმარება . ამას ადასტურებს დახვეწილი ელექტრონული პლატფორმები: აკადემიური წერის ცენტრი და კარლ ფრიდრიხ ლემან-ჰაუპტის საერთაშორისო სადოქტორო სკოლის ვებგვერდი. ასევე განვითარების და საგარეო ურთიერთობების სამსახური ორიენტირებულია სტუდენტებს მიაწოდოს ინფომრაცია საერთაშორისო პროექტების შესახებ, რაც მათ სხვადასხვა კვლევის განხორციელების საშუალებას მისცემს.

დოკუმენტაციის გაცნობის და სტუდენტებთან ინტერვიუების საფუძველზე გამოვლინდა დოქტორანტების ინფორმირებულობა დამსაქმებელთა მოთხოვნების შესახებ, ვინაიდან ხელმძღვანელების უმრავლესობა წარმოადგენს პოტენციურ დამსაქმებელს.

o სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტი დოქტორანტს ეხმარება სხვადასხვა აქტივობებში

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. https://internationaldoctoralschool.iliauni.edu.ge/home/
2. https://writingcentre.iliauni.edu.ge/

რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ➢ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დოქტორანტთა ხელმძღვანელობა ხორციელდება და რეგულირებდა დოქტურანტურის დებულების და სადისერტაციო საბჭოს მიერ. ნაშრომების ხელმძღვანელები ფლობენ დოქტორის აკადემიურ ხარისხს, აქვთ თეორიული და პრაქტიკული დარგობრივი საქმიანობის მდიდარი გამოცდილება. დარგში მუშაობის სულ მცირე 5 წლის გამოცდილებით, რომელიც ძირითადად უზრუნველყოფს სტუდენტის კონსულტირებას კვლევის პროცესში არსებული პრობლემების შესახებ. პასუხისმგებელია ნაშრომის თეორიულ და პრაქტიკულ ღირებულებაზე, კვლევის დიზაინის და მეთოდოლოგიის ადეკვატურობაზე, კვლევის პირველადი მასალის ობიექტურობასა და სარწმუნობაზე, ასევე ნაშრომის სტრუქტურაზე, გაფორმების ხარისხსა და ენობრივ გამართულობაზე, ნაშრომის ძირითადი შედეგების ორიგინალობაზე. დოქტორანტის სურვილის გათვალისწინებით, დისერტაციის საბჭო განიხილავს თემის ხელმძღვანელის შერჩევას. დოქტორანს შეუძლია ჰყავდეს ერთხე მეტი ხელმძღვანელი, მათ შორი მოწვეული დარგის სპეციალისტი (საზღვარგარეთ და/ან საქართველოში), ასევე მონაწილეს შეუძლია თემის და ხელმძღვანელის შეცვლა შესაბამისი მიზეზების განმარტების შემდეგ. ინფორმაცია აღნიშნული პროცედურის შესახებ წინასწარ გაწერილია და ხელმისაწვდომია დოქტორანტებისათვის. • პროგრამაში ჩართული თემის ხელმძღვანელის ფუნქციები წინასწარ გაწერილია

დოქტურანტურის დებულებაში. უნივერსიტეტის მიერ ხორციელდება მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების მხარდაჭერა სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ ტრენინგებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ დოქტორანტურის დებულება ○ ინტერვიუ
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ➢ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	➢			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის

აუცილებელი კომპეტენცია;

- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ა) „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სადოქტორო პროგრამაში ჩართული პერსონალის ძირითადი ნაწილის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. თუმცა, ადამიანური რესურსი, გარკვეული მიმართულებებით, გაძლიერებას საჭიროებს;

მაგალითად: დავით ოთიაშვილი - ექიმი ნარკოლოგი, ფილოსოფიის დოქტორის აკადემიური ხარისხი, სპეციალიზაცია - სამედიცინო ფსიქოლოგია და ფსიქოპათოლოგია; სერტიფიცირებული ექიმი (ნარკოლოგია, ფსიქიატრია, ანესთეზიოლოგია-რეანიმატოლოგია), დიპლომისშემდგომი განათლების კურსი, სპეციალიზაცია „ნარკოტიკების მოხმარების პრევენცია, მკურნალობა და კვლევა“ (ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბლუმბერგის სკოლა, ბალტიმორი, აშშ, 2003-2004), სამეცნიერო აქტივობა (მ.შ., პუბლიკაციები, გრანტები/პროექტები) - ადიქტოლოგია (მ.შ., შესაბამისი ეპიდემიოლოგიური კვლევები), ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული შრომების მიხედვით. ეპიდემიოლოგიის სილაბუსიდან გამომდინარე (სასწავლო კურსის მიზანი, ძირითადი თემები, სწავლის შედეგები და კომპეტენციები), სილაბუსისფარგლებში, მართებულია, დამატებით სათანადო დარგობრივი პედაგოგიური/სამეცნიერო რესურსის მობილიზება. აღნიშნულს ამყარებს ის გარემოებაც, რომ მსოფლიოს მოწინავე უნივერსიტეტების შესაბამისი სადოქტორო პროგრამების იმავე სილაბუსის („ეპიდემიოლოგია“) განხორციელებაში მონაწილეობს რამდენიმე პირი, თემატიკების მიხედვით, რაც მათ პროფესიულ/სამეცნიერო/ექსპერტულ გამოცდილებას ემყარება (მაგალითად, ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის (Johns Hopkins Bloomberg School of Public Health) ეპიდემიოლოგიის სილაბუსი).

ბ) პროგრამის ფარგლებში დაკავებულია 12 აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი, ასევე,

მოწვეული პედაგოგებიც, რაც რიცხობრივად საკმარისია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის, თუმცა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის კონკრეტულ მიმართულებებში მათი პედაგოგიური/სამეცნიერო/ექსპერტული გამოცდილება არ არის საკმარისი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ყველა მიმართულებით სადოქტორო კვლევების გასახორციელებლად. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა საკმარისია, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ყველა მიმართულებაში სასწავლო პროცესის წარმართვა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, პრაქტიკულად გაძნელდება. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. ფაკულტეტს შემუშავებული აქვს აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა, რომელიც ახლდება სემესტრულად და განისაზღვრება მათზე დაკისრებული სასწავლო და/ან სამეცნიერო კვლევითი და სხვა ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე. აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა განისაზღვრება უნივერსიტეტში შემუშავებული შესაბამისი რეგულაციებით. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, აკადემიური/მოწვეული პერსონალის დატვირთვის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ერთ ხელმძღვანელზე განსაზღვრული აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტების რაოდენობა იყოს 5-ზე ნაკლები (სარეკომენდაციო - 3); გ) პროგრამის ხელმძღვანელის ცოდნა და გამოცდილება საკმარისია პროგრამის შემუშავებისათვის, ამავდროულად, ის მონაწილეობს სასწავლო პროცესში (ელექტიური კურსის ხელმძღვანელი); დ) პროგრამის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი. ფაკულტეტის ადმინისტრაციასა და დამხმარე პერსონალს წარმოადგენს ფაკულტეტის დეკანი, დეკანის თანაშემწე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი და სასწავლო პროცესის კოორდინატორი. შესაბამისად, პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით, რომელთა კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსახორციელებელ ფუნქციებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები; 2. ინფორმაცია გამოცხადებული კონკურსის შესახებ და კონკურსის შედეგები (https://iliauni.edu.ge)

3. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია;
4. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულებების ნიმუშები;
5. აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა;
6. სერვისებთან დაკავშირებით პერსონალის კვლევის ინსტრუმენტები;
7. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი;
8. ადმინისტრაციული სამუშაოს აღწერილობები;
9. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესი და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობები;
10. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის დებულება;
11. სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა „არგუსი";
12. პროგრამის ხელმძღვანელების საქმიანობის წესი;
13. პროგრამის სამუშაო ჯგუფის ოქმები;
14. „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანება;
15. ვიზიტის შედეგები.

რეკომენდაციები:

- საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფუნდამენტურ მიმართულებებში /გარემოს ჯანმრთელობა, ეპიდემიოლოგია და სხვა/ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადამიანური რესურსის გაძლიერება, დამატება

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ა) საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტს შემუშავებული აქვს აკადემიური პერსონალის შეფასების მექანიზმი, რომელიც მოიცავს შეფასების კონკრეტულ მეთოდებსა და ინსტრუმენტებს. აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის კვლევასთან და სწავლებასთან დაკავშირებული საქმიანობის შეფასებას. შეფასების შედეგები არის პერსონალის პროფესიული განვითარების, წახალისებისა და დაწინაურების საფუძველი;

ბ) უნივერსიტეტი ორიენტირებულია, ხელი შეუწყოს ხარისხიანი კვლევების სამეცნიერო კვლევითი პროექტების გაძლიერებას და მათ ინტერნაციონალიზაციას, რის მხარდაჭერასაც უზრუნველყოფს სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახური, რომელიც მხარს უჭერს უნივერსიტეტს, მის სტრუქტურულ ერთეულებს და აკადემიურ პერსონალს სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მოზიდვასა და განხორციელებაში. უნივერსიტეტში მოქმედი დაფინანსების წესი საშუალებას აძლევს წარჩინებულ დოქტორანტებს, მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში. განვითარების სამსახური ხელს უწყობს უნივერსიტეტის მკვლევრებისა და სამეცნიერო პერსონალის ჩართულობას საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტებში კვლევის მიმართულებით და უზრუნველყოფს შესაბამისი დაფინანსების წყაროების იდენტიფიცირებას და მოზიდვას. უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევის დღის წესრიგის განსაზღვრა/განვითარებასა და კვლევითი საქმიანობის შეფასების პროცესებების რეგულირებას ახორციელებს უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო. ამავდროულად, უნივერსიტეტში არსებობს სხვა მექანიზმებიც (მაგალითად, სამეცნიერო კაფე), რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის პროფესიულ განვითარებას. ამავდროულად, პერსონალის

პროფესიული განვითარებისთვის უნივერსიტეტში არსებობს აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრი (TSDC), რომელიც უზრუნველყოფს სწავლების პროცესში ჩართული პერსონალისთვის სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ტრენინგების შეთავაზებას. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის მიერ გამოყენებული ინსტრუმენტები ხელს უწყობს მათ პროფესიულ განვითარებას და ჩართვას სამეცნიერო აქტივობებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თვითშეფასების ფორმა; 2. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის დებულება; 3. სერვისებთან დაკავშირებით პერსონალის კვლევის ინსტრუმენტები; 4. განვითარების სამსახურის დებულება; 5. კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსების წესი; 6. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებისა და საუნივერსიტეტო დაფინანსების წესი; 7. აკადემიური პერსონალისა და მასწავლებელთა განვითარების ცენტრის (TSDC) საოპერაციო გეგმა; 8. სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახურის დებულება (https://iliauni.edu.ge/uploads/other/44/44379.pdf) 9. ვიზიტის შედეგები.
რეკომენდაციები:-
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ➢ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განხორციელებას ხელს უწყობს უნივერსიტეტის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები, ასევე, დოქტორანტების კვლევითი სამუშაოების საჭიროებები უზრუნველყოფილია პარტნიორი ორგანიზაციების კვლევითი ბაზებით.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ყველა პირობაა შექმნილი სრულფასოვანი განათლებისა და კვლევითი საქმიანობის განხორციელებისათვის. კერძოდ:

ა) მისი ინფრასტრუქტურა მოიცავს სამკითხველო დარბაზებს, ჯგუფური მუშაობის სივრცეებს, კომპიუტერულ რესურს ცენტრებს, შეხვედრებისა და ტრენინგების ოთახს, წიგნსაცავებს და სხვა;

ბ) ბიბლიოთეკის წიგნთა ფონდი, მათ შორის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით, მუდმივად ახლდება (სილაბუსების მიხედვით), ხოლო ახალი წიგნების შესახებ ინფორმაცია თავსდება ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში, რაც უზრუნველყოფს სასწავლო რესურსებზე ხელმისაწვდომობას;

გ) ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის ბიბლიოთეკის მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია შემდეგი საერთაშორისო აკადემიური ბაზები, ჟურნალები, ელექტრონული წიგნები და ბიბლიოთეკები: Clarivate Analitics (ყოფილი Thomson Reuters Web of Science); Scopus; Ulrich's Index; ERIH PLUS; EBSCOHost; Latindex Catalogue. შესაბამისად, ბიბლიოთეკა, საერთაშორისო და აკადემიური ელექტრონული ბიბლიოთეკებისა და ბაზების კოლექციებზე ხელმისაწვდომობის საშუალებით, მომხმარებელს უზრუნველყოფს მისთვის საჭირო ყველა რესურსით. ამავდროულად, ბიბლიოთეკის მიერ შეთავაზებულ სერვისებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ტრენინგებს: „სამეცნიერო ელექტრონული ბაზების გამოყენებისა" და „საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების გამოყენების შესახებ", რაც ხელს უწყობს სტუდენტების

ჩართვას სამეცნიერო აქტივობებში.

თუმცა, ზოგ შემთხვევაში, ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია სილაბუსებში მითითებული სახელმძღვანელოების მხოლოდ ელექტრონული ვერსიები. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ხელმისაწვდომობის არსებობა მატერიალურ სახელმძღვანელოებზეც.

უნივერსიტეტში არსებული ელექტრონული სისტემის „არგუსის" საშუალებით საუნივერსიტეტო საზოგადოება და სტუდენტები იღებენ სიახლეების შესახებ ინფორმაციას და აქვთ საშუალება დისტანციურად იქონიონ უკუკავშირი ბიბლიოთეკასთან და პირიქით.

ამავდროულად, ბიბლიოთეკაში მოქმედებს სარგებლობის წესები, რომელიც სხვა ხასიათის ინსტრუქციებთან ერთად ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის ვებგვერდზე და თვალსაჩინოა დარბაზებსა, თუ სხვა ტიპის სივრცეებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და საერთაშორისო ელექტრონული ბაზები http://library.iliauni.edu.ge;
2. ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის და წიგნადი ფონდის დამადასტურებელი დოკუმენტები;
3. სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა „არგუსი";
4. ელექტრონული სწავლების პორტალი: http://moodle.iliauni.edu.ge;
5. საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებთან დადებული ხელშეკრულებები;
6. სერვისების კვლევის ინსტრუმენტები (სტუდენტები);
7. პროგრამის კურსების სილაბუსები/კონცეფციები;
8. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების და ცენტრების დებულებები;
9. მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან;
10. ვიზიტის შედეგები.

რეკომენდაციები: -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -

ელექტრონულ ვერსიებთან ერთად დაწესებულებაში არსებობდეს სილაბუსებში მითითებული ყველა სახელმძღვანელოს ერთი მატერიალური ეგზემპლარი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -

შეფასება ➢ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში მოქმედი სადოქტორო პროგრამები ქართველი სტუდენტებისათვის სრულად ფინანსდება უნივერისტეტის მიერ 5 წლის განმავლობაში, ამასთან, არსებობს დაშვება, რომ შესაძლებელია გამოცხადდეს მიღება ფასიან მზადებაზეც. სადოქტორო პროგრამების უნივერსიტეტის მიერ დაფინანსება კვლევის ხელშეწყობის მიმართულებით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია. თუმცა, წარმოდგენილი მტკიცებულებები არ არის საკმარისი პროგრამის ფინანსური მდგრადობის შესაფასებლად. კერძოდ, წარმოდგენილი ბიუჯეტი ითვალისწინებს მხოლოდ პედაგოგების, ადმინისტრაციული ხარჯებისა და სასწავლო მასალების ხარჯებს (5 სტუდენტზე) და დოკუმენტში არ არსებობს მითითება კვლევითი პროექტების დაფინანსების შესახებ. უნივერსიტეტის კვლევითი ცენტრების ბიუჯეტის მზარდი დინამიკის (2018 წელი - 1 200 000, 2019 წელის - 1 650 000), ასევე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის 2019 – 2024 წლების სტრატეგიაში გაცხადებული ვალდებულებების (ფაკულტეტი ბიუჯეტიდან უზრუნველყოფს წარჩინებული დოქტორანტების კონფერენციებისა თუ სხვა სახის ღონისძიებების დაფინასებას, უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს კვლევების შედეგების პრეზენტაციის, გამოცემის და სამეცნიერო ღონისძიებებზე წარდგენის ხარჯებს) და პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის თაობაზე წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებების მიუხედავად, ბიუჯეტში უნდა იქნეს გაწერილი კვლევითი კომპონენტის დაფინანსების მოცულობა (სავარაუდო

ნიშნულებით) და წყაროები (მ.შ., საგრანტო, უნივერსიტეტის ბიუჯეტი), დაფინანსების წყაროების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს აპლიკანტებისთვისაც, როგორც, მსოფლიოს მოწინავე უნივერსიტეტების შემთხვევაში. მაგალითად, ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის ბლუმბერგის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის ვებ-გვერდზე მითითებულია არა ერთი წყარო სტუდენტების საგრანტო დაფინანსებისათვის. ამავდროულად, ბიუჯეტს უნდა ახლდეს შესაძლო ფინანსური რისკების მართვის რეალისტური ანალიზი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილ ბიუჯეტს ესაჭიროება დახვეწა, ფინანსური მდგრადობასთან დაკავშირებით პროგრამისთვის გამოყოფილი რესურსების თვალნათლივ წარმოდგენის თვალსაზრისით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. ჩართული პერსონალის საგრანტო პროექტების ხელშეკრულებები; 2. სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახურის დებულება (https://iliauni.edu.ge/uploads/other/44/44379.pdf); 3. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ბიუჯეტი; 4. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტი; 5. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის სტრატეგიაა 2019 – 2024; 6. კონფერენციების დაფინანსების წესი; 7. სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტი; 8. ვიზიტის შედეგები.
რეკომენდაციები: ➢ პროგრამული ბიუჯეტის მომზადება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება პროგრამული კონკრეტული ხარჯები, კვლევითი კომპონენტის დაფინანსების წყაროები, იდენტიფიცირებული იქნება რისკები და მათი გადაჭრის გზები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○
შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

➢ ☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		➢		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ხარისხის შეფასების პროცედურები, შეფასების ინსტრუმენტები და მექანიზმები გაწერილია უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციასა და პროგრამის განხორციელების შეფასების წესში, აღნიშნული გულისხმობს სადოქტორო პროგრამაში ჩართული ყველა რგოლის შეფასებას (სტუდენტი, ლექტორი, დამხმარე პერსონალი, კვლევის შეფასება, აკადემიური მოსწრება, კურსდამთავრებულები და სხვ.). შეფასების მექანიზმები კერძოდ, სხვადასხვა გამოკითხვის ეტაპები და შემდგომ მათი ანალიზი წინასწარ გაწერილია თვეების მიხედვით. შეფასების შედეგად გამოვლენილ მიგნებებზე რეაგირებისათვის უნივერსიტეტს ასევე გააჩნია წინასარ განაზღვრული

პოლიტიკა პრობლემის აღმოსაფხვრელად. ხარისხის გაუმჯობესების მიზნით წინასწარ შექმნილია თვითშეფასების ჯგუფი სადაც ძირითადად ჩართულია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი. ვიზიტის ფარგლებში სხვადასხვა ჯგუფებთან განხორციელებული ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა სტუდენტების ნაკლები ჩართულობა აღნიშნულ პროცესში, ისევე როგორც დამსაქმებელთა სუსტი უკუკავშირი. o შიდა ხარისხის შეფასებისათვის უნივერსიტეტს გააჩნია წინასწარ გაწერილი კონცეფცია, რომელიც გულისხმობს სადოქტორო პროგრამაში ჩართული ყველა რგოლის შეფასებას (სტუდენტი, ლექტორი, დამხმარე პერსონალი, კვლევის შეფასება, აკადემიური მოსწრება, კურსდამთავრებულები და სხვ.). შეფასების მექანიზმები, კერძოდ სხვადსხვა გამოკითხვის დრო და შემდგომ მათი ანალიზი წინასწარ გაწერილია თვეების მიხედვით. შეფასების შედეგად გამოვლენილ მიგნებებზე რეაგირებისათვის უნივერსიტეტს ასევე გააჩნია წინასარ განაზღვრული პოლიტიკა პრობლემის აღმოსაფრქველად. o ხარისხის გაუმჯობესების მიზნით წინასწარ შექმნილია თვითშეფასების ჯგუფი სადაც ძირითადად ჩართულია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი. დოკუმენტაციის გაცნობის და ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა სტუდენტების და კურსდამთავრებულიების ნაკლები ჩართულობა აღნიშნულ პროცესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება 2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია; 3. ილიას სახელმწიფო უნივერიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები; 4. სადოქტორო პროგრამების კვლევის ანგარიში;
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ➢ სასურველი იქნებოდა თვითშეფასების განხორციელების პროცესში სტუდენტების მეტი ჩართულობა
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -

შეფასება ➢ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, პროგრამების განვითარებისათვის დაწესებულება ითვალისწინებს დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს და მიმართვს გარე შეფასებას, კურსდამთავრებულებისა და პოტენციური დამსაქმებლების მონაწილეობით. სადოქტორო პროგრამის გარე შეფასების მიზნით უნივერსიტეტმა განახორციელა სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, შედეგად გაითვალისწინა ძირითადი მიგნებები, კერძოდ: პროგრამაზე ადვოკატირების უნარის გაძლიერება, პროგრამაზე მიღების და საბოლოო ფორმულირების პროცედურების გამარტივება. დაწესებულებამ დოკუმენტალურად წარმოადგინა უცხოელი ექსპერტის პროფ. ვენდი ვეჰსბერგის (აშშ) გარე შეფასება, რომელიც სარეკომენდაციო წერილის ხასიათისაა, მასში პროგრამა შეფასებულია პოზიტიურად და მოკლებულია ცალკეული სტანდარტების მიხედვით ღრმა ანალიზს, უკანასკნელის თანახმად, უნივერსიტეტმა განახორციელა ცვლილებები სადოქტორო ნაშრომის წერის კულტურის ამაღლების მიზნით. o პროგრამის გარე შეფასების მიზნით უნივერსიტეტმა განახორციელა სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, შედეგად გაითვალისწინა ძირითადი მიგნებები, კერძოდ: პროგრამაზე ადვოკატირების უნარის გაძლიერება, პროგრამაზე მიღების და საბოლოო ფორმულირების პროცედურების გამარტივება. ასევე დოკუმეტალურად წარმოდგენილია უცხოელი ექსპერტის სარეკომენდაციო წერილი, სადაც პროგრამა აღწერილია პოზიტიურად და რეკომენდირებულია სადოქტორო ნაშრომის წერის კულტურის ამაღლების მიზნით განხორციელდეს ცვლილებები, რაც უნივერსიტეტმა გაითვალისწინა. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ წარმოდგენილი გარე შეფასება არ არის ღრმა ანალიზი პროგრამის სხვადასხვა კომპონენტის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - 1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია. 2. სადოქტორო საფეხურის პროგრამების კვლევის ანგარიში;
რეკომენდაციები: -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ➢ პროგრამის ინტერესებისათვის სასურველი იქნებოდა ღრმა ანალიზის მომცველი პროგრამის გარე შეფასება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ➢ **☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების უწყვეტობა შესაბამისობაშია “Plan, Do, Check, Act” პრინციპთან. უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურს გააჩნია წინასწარ გაწერილი პროგრამის პერიოდული შეფასების და მონიტორინგის გეგმა, რომელიც ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით; თუმცა ინტერვიუების მიმდინარეობაში გამოიკვეთა დამსაქმებლების ნაკლები ჩართულობა პროგრამის შეფასების პროცესში. ამასთნავე, პროგრამის დადარება სხვა ანალოგიურ საერთაშორისო პროგრამასთან არ განხორციელებულა, დოკუმენტაციაში ასევე არ არის წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის შრომის ბაზრის და დასაქმების კვლევა. სტუდენტური სერვისების ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებული ad-hoc ინსტუმენტი, რაც დამატებით ხარისხის მარტივად შეფასების საშუალებას წარმოადგენს. უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურს გააჩნია წინასწარ გაწერილი პროგრამის

პერიოდული შფასების და მონიტორინგის გეგმა, რომელიც ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით; სტუდენტური სერვისების ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებული ad-hoc ინსტუმენტი, რაც დამატებით ხარისხის მარტივად შეფასების საშუალებას წარმოადგენს პროგრამის დადარება სხვა ანალოგიურ საერთაშორისი პროგრამასთან არ განხორციელებულა დოკუმენტაციაში არ არის წარმოდგენილი შრომის ბაზრის და დასაქმების კვლევა
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია. 2. სადოქტორო საფეხურის პროგრამების კვლევის ანგარიში;
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ➢ პროგრამის ინტერესებისათვის სასურველი იქნებოდა გარე შეფასებაში დამსაქმებლების მჭიდრო უკუკავშირი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება ➢ ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	➢			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: საზოგადოებრივი ჯანდაცვა ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, დოქტორანტურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 52 /ორმოცდათორმეტი/

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	➢			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		➢		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	➢			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		➢		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	➢			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა-

თამარ ლობჯანიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ირინე ფხაკაძე 

ნათია ნოღაიდელი

ელენე ხურციძე